# სახალხო გაზეთი

№ 860 — კვირა, 31 მარტი 1913 წ. — № 860

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ... 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომაში", მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში — მორსკაია 11, ვარშავაში — მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში — ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



ტფილისი — სახალხო ბიბლიოთეკა



## სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.**
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა — **კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

**გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი: ტფილისიდან ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარედან ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევაში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გად იხადონ. ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**
1) **,,სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში,** სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2. ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,
3 ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

---

კვირას, 31 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, შუადღის პირველ საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი

**იოსიფ** სიმონის ასულის **ქიქოძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც იუწყებიან განსვენებულის **შვილნი და ნათესავნი.** 194

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 79.

კვირას, 31 მარტს, ✦ **ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ,** ✦ წარმ. იქნება ძველ საბერძნეთის გამოჩენილ ტრაგიკოსის **სოფოკლესის** ცნობილი ანტიური ტრაგედია

### ედიპე მეფე

თარგმანი კონსტ. აბრონისა.

წარმოდგენის დაწყებამდე **მიხ. წულუკიძე** წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე:

**„ანთიკური ტრაღედია და ედიპე მეფე"**

ტრაგედია დადგმული იქნება ცნობილ რეჟისორის **რეინჰარდტის** გეგმით, რისთვისაც სცენა და პარტერი შეერთებული იქნება. ✦ მოქმედება უმთავრესად სწარმოებს პარტერში და იმ ალაგას, სადაც იმყოფება ორკესტრი. პარტერის პირველი სამი რიგი აღებულია და ეს ადგილი მოწყობილია ძველ საბერძნეთის თეატრის სცენის მიხედვით. რადგანაც მომქმედნი პირნი თეატრის ფოიესა და კორიდორებიდან გამოვლენ, ამიტომ მსახიობთა ამხანაგობის რეჟისურა უმორჩილესად სთხოვს დამსწრეთ, მეორე ზარის შემდეგ ყველამ თავისი ადგილი დაიჭიროს. **დასაწყ. საღ. 8½ ს. წარმოდგ. დაწყების შემდეგ თეატრში არავის შეუშვებენ. ედიპეს** როლს შეასრულებს **ვ. გუნია**. **მონაწილეობს მთელი დასი, ხორო, 100 კაცისაგან შემდგარი და სიმებიანი ორკესტრი ,,ახალი კლუბისა" ბ-ნ პრესმანის ლოტბარობით.**

ადგილების ფასი დაკლებულია.

1094 რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

**კვირას, 31 მარტს,** ჩვენი სასიქადულო მგოსნის **აკაკის** მონაწილეობით გაიმართება

### სალიტერატურო დილა.

1, **გრ. ნათაძე** წაიკითხავს ქართულად **ლექციას** შემდეგ თემაზე:

**,,ლეონიდ ანდრეევი"** და მისი ნაწარმოებნი (**„დღენი ჩვენი ცხოვრებისა"** და **„გაუდიამუსი".**)

2) ახალგაზდა მგოსნები წაიკითხავენ თავიანთ ლექსებს: **ს. აბაშელი, ბ. ახოსპირელი, გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე.** ბელეტრისტი **სოფრ. მგალობლიშვილი** წაიკითხავს მოთხრობას. **დ. კასრაძე** — მინიატურებს.

3) **ნ. მამულაშვილი** წაიკითხავს რუს. ენაზე **,,შეშლილის წერილებს"** გოგოლიდან. მსახ. თამ. **სიმ. გოგოლაშვილი** — ლექსს. ბილეთები იყიდება კასაში, ფასები: 5—50 კაპეიკამდე. **დასაწყისი დღის 3 საათზე.** 188

---

ხუთშაბათს, 4 აპრილს,

### მეორე კონცერტი
**ცნობილ ვიოლონჩელისტის**

### სიკორასი.

ბილეთები იყიდება გ. ი. კერერის (გოლ. პროსპ.) მუსიკალურ მაღაზიაში. 193

---

**ქარხნის** მარკა

### კონიაკი და ლიკორი
### ს. ს. შამრიარსკისა

**ტფილ სი ელისაბედის ქუჩა № 166.** 1570

---

**ქ. ქ უ თ ა ი ს ი**
**კვირას, 31 მარტს,**

**ი. გრიშაშვილის** თაოსნობით გაიმართება საინტერესო მუსიკალურ-ლიტერატურული

### საღამო-მეჯლისი
4 განყოფილებად:

1) განყოფ. **ლექცია.** **დავ. კასრაძე** წაიკითხავს **„მშვენიერება ხელოვნებაში".**
2) განყ. **წარმოდგენა.** ქართველ მსახიობთაგან წარმ. იქნება **უბედური დღე.** ვოდევ. 1 მოქ. ვ. ბალანჩივაძისა. ვ. ბალანჩივაძე — (ივანიკა იმერელი), მ. ნემოყობოძე ... (მსახური გოგო).
3) განყოფილება: **კონცერტი.** მონაწილეობენ: ალ. შარაშიძე, გალ. თუთბერიძე, ანასტ. შარაშიძისა, დავ. აკოფოშვილი, მ. კაჩაუნოვისა, ი. სადირაშვილი.
4) **დიდი დივერტისმენტი.** დ. კლდიაშვილი, ცახელი, თომაშვილი, დ. მესხი, აპ. წულაძე, ნიკ. გოცირიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ვ. რუხაძე, გუცა, ქ-ნნი ნ. ჩარექოვისა, ჯ. ჯაჯიკია, ტ. ტაბიძე, აკ. სვანი და ი. გრიშაშვილი.

**დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

---

**არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში**
**პარასკევს, 5 აპრილს,** გაიმართება კითხვა

### თეოდორე სოლოგუბის ნაწარმოებებისა.

მონაწილეობას იღებენ: ა. ნ. ჩებოტარევსკაია (თ. სოლოგუბის მეუღლე), პოეტი იგორი სევერიანინი. **თ. სოლოგუბი** წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე:

**„ჩვენი დროის ხელოვნება"**

ლექციის დროს წაიკითხავენ ახალს, ჯერ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებს.
**დასაწყ. საღ. 8-ნახევ. ს.** ფასები 75 კაპ. 3 მ. 50 კ., მოწაფეთათვის 50 კ. ბილეთები იყიდება ყოველ დღე არტისტ. საზოგად. დარბაზის შესავალში დილის 12–2 ს. და საღ. 6—8 საათამდე. 1125

---

**7 აპრილს, 1913 წ., შუადღის 12 საათზე, კავკასიის საიმპერატორო**

სასოფლ.-სამეურნ. საზოგადოების სადგომში,

მოხდება **წლიური კრება**

### ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.

**განსახილველი საგნები:** 1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში დაარსების დღიდან 1913 წლის 1 იანვრამდე; 2) 1912 წლის ხარჯების აღრიცხვა, 3) ხარჯთ-აღრიცხვა 1913 წლისა, 4) საზოგადოების ახალ წევრთა მიღება და 5) არჩევნები საზოგადოების საბჭოსი და სარევიზიო კომისიის ყველა წევრისა. 1128

---

### ქართული დრამატიული საზოგადოების წლიური საზოგადო კრება

**დანიშნულია შაბათს, 6 აპრილს, საღამოს 8 ს. ქართულ თეატრში**

კრების განსახილველი საგნები:
1) განხილვა და დამტკიცება დრამ. საზოგ. გამგეობის მოქმედების წლიურის ანგარიშისა.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) განსაკუთრებული სარევიზიო კომისიის მოხსენება ძველი გამგეობის ანგარიშების შესახებ.
4) გამგეობის სხვადასხვა მოხსენებანი.
5) საზოგადოების ახალი წევრების არჩევნები.
6) გამგეობის ახალი წევრების არჩევნები ნაცვლად იმათი, რომელთაც ვადა შეუსრულდათ.
7) სარევიზიო კომისიის ახალ წევრთა არჩევნები.

საზოგადო კრება, წესდების მე-14 მუხლის ძალით, კანონიერად ითვლება, თუ კრებას დაესწრო არა ნაკლებ 25 წევრისა. 1094

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მებრაგიანცი**

**წამლობა ელექისა** იღებს შინაგან სნეუ. ბლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის პრეპარატებით** და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 ს. ... № 23 (... ქ. კუთხე).

**ტელეფ. № 7—93.** 97

---

### ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ალექსეევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

**მწოლიარე** ავადმყოფთა მიღება შეიძლება **ყოველ წამს**, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები

შინაგანი სნეულებანი:
- **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
- **მაღლაშვილი ვ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
- **მიქელაძე ი. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
- **ფედოროვა ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
- **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.

ქირურგიული და ... სნეულებანი:
- **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)
- **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
- **ფირალოვა ნ. ზ.** (ყოველ დღე) 12—1.

[illegible]:
- **ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
- **თაყაიშვილი ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
- **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
- **სულაკაური ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.

[illegible]:
- **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.
- **მიქელაძე ი. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
- **ფედოროვა ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

ნერვ. სნეულებ.:
- **ზედგენიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
- **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს.
- **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.

[illegible]:
- **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½
- **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.

[illegible]:
- **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

[illegible]:
- **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606" 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1635

---

*Общество*
*Кахетинскихъ садовладѣльцевъ*
*„Кахетія"*
*въ Тифлисѣ.*
*№*

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

Уставъ общества утвержденъ въ 1903 г.

**რადგანაც ამ უკანასკნელ დროს მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულება, ,,კ ა ხ ე თ ი"-ს საზოგადოება საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოეკიდება სასამართლოს წესით.** 1054

---

### საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და ციდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

---

### სატივო
### ,,ცოცხალი"
1114.

---

### არსდება
**ტფილის ქართველ მუშათა მომღერალ - მგალობ. გუნდი**

**მიხ. კავსაძის** ხელმძღვანელობ. თ. მიღება და ჩაწერა სულ მუდამ: კვირაობით, ოთხშაბათ. და შაბათობით, ჩერქეზიშვილის ანუ ავჭალის ქ., № 29, ს ღ. 5—7 საათამდე. 1129

---

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½—10 ს.
**ა ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.
**ექ. ქალი იოსელიანისა** — იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.
**ვორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
**ნ მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
**ივ. გომართელი.** — ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მოსაზრებით.

**წამლობა ,,606"** 053

---

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

### მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა. ყიროღანოვის ქ. № 20. წ. 1122

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

---

**სამტრედიაში**

**ექიმი ე. ქ. აბულაძე**

იღებს ავადმყოფ. ყოველ დღე, აგრეთვე **სწამლობს „606"** და **„914".** 1118

---

### სამკურნალო
**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10½ ს.
**აბულაძიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.
**ბოყოვსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.
**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.
**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½.
**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
**ერმოლაევი** — ბავშ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ. კვირ. 11—12 საათ.
**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.
**შამაში,** ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.
**გ. ნ. გეინაცი** — თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. საღ. 4—5 ს.
**ა. ა ხოდნევი** — თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., საღ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფესს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. 366.

---

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ბლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 107


## მუშათა ახალი კანონი

3. *)

23 იანვარის მუშათა ახალი კანონი, რომლის ღირსება-ნაკლულებანი და შინაარსი მოკლედ განვიხილეთ წინა წერილებში, ამ ჟამად უკვე განხორციელების ხანაშია. ზაფხულიდანვე შეუდგნენ პირველ-დაწყებით მუშაობასა და მზადებას: ადგილობრივ დაწესებულებათა გახსნას, ცნობების შეკრებას, ადგილობრივ პირობათა გამოკვლევას და სხვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზედ უფრო დაინტერესებულს მხარეს — მუშებს — თავიდანვე უნდობლობა გამოეცხადა და მათთვის სრულიად შეუძლებელი შეიქნა, მონაწილეობა მიეღოთ კანონის განხორციელებისთვის გამართულ პირველდაწყებითს მუშაობაში. ბევრს ეცადნენ საპროფესსიო კავშირთა გამგეობანი პეტერბურგსა და სხვაგან, მაგრამ მათი წარმომადგენლები არსად არ მიიღეს დროებით სათათბირო კომისიებშიაც კი. აქედანაც ცხადია, რომ კაპიტალისტ-პატრონთაგან ყოველი ღონისძიება იქნება მიღებული, რათა ახალი კანონი, ისედაც დამახინჯებული და შეზღუდული, განხორციელების დროს კიდევ უფრო იქნას შემცირებული და ფრთაშეკვეცილი.

მიუხედავად ამისა ანუ, უკეთ ვსთქვათ, სწორედ ამისთვის მუშებს

*) იხ. ,,სახ. გაზ." №№ 852 და 853.

ჭმართებთ თავის მხრითაც გაარკვეცონ თვითმოქმედება, რათა რიგიანად გამოიყენონ ახალი კანონი. იგი სუსტი ნაბიჯია წინ გადადგმული, მას მრავალი ნაკლი აქვს, მაგრამ იმისი გამოყენება, იმის ზოგ კარგი მხარის გაძლიერება მაინც შეიძლება. ავიღოთ, მაგალითად, საავათმყოფო კასები. რაც უნდა იყოს, მათ მართვა-გამგეობაში მუშათა ხმას თვალსაჩინო გავლენა ექნება. სახალხო კრებებშიაც დ გამგეობებშიაც მუშები ირჩევენ წარმომადგენლების განსაზღვრულ რიცხვს. მაშასადამე, ჩნდება ორგანიზაციები, სადაც მუშებს შეუძლიათ დაიცვან თავისი ინტერესები და იმოქმედონ კანონის უკეთ გამოყენებისთვის. აქ იშლება ასპარეზი მუშათა თვითმოქმედების გაძლიერებულ მუშაობისთვის და თვით მათგან არის დამოკიდებული, გააფართოვონ ეს ასპარეზი, გააძლიერონ თავისი გავლენა ახალს დაწესებულებაში. საავათმყოფოს კასების გამგეობათ საკმაოდ ფართო კომპეტენცია აქვთ საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმეში, შემწეობისა და პენსიების დანიშვნის საქმეში და, ეჭვს გარეშეა, სამრეწველო დაწესებულებათა პატრონები თავის მხრით მეცადინეობას არ მოაკლებენ, რათა შეზღუდონ ამ მხრით მუშათა უფლებანი. მაშასადამე, მუშათა კრებებს, რომელთაც უნდა აირჩიონ წარმომადგენლები გამგეობებში, დიდი მნიშვნელობა ექნებათ იმ მხრით, რომ უფრო შეგნებული და ენერგიული დამცველები იყოლიონ გამგეობებში...

უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის დაწესებულებებში, როგორც ვთქვით, მუშები კანონით მონაწილეობას თითქმის სრულიად არ იღებენ. ის არის მხოლოდ, რომ საავათმყოფო კასები თავის წარმომადგენლებს (სამ-სამ კაცს) ირჩევენ დაზღვევის ადგილობრივსა და ცენტრალურს კომიტეტებში. მაგრამ, შესაძლებელია ამ მხრითაც მოიპოვონ მუშებმა გავლენა. მაგალითად, დიდ სამსახურის გაწევა შეიძლება პატრონებთან სასამართლო დავის დროს. რადგან ახალის კანონით დაზარალებბის, დაშავების ხასიათის დამზღვევი კომიტეტები არკვევენ, სადაც მუშათა წარმომადგენლობას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იგივე საბჭო—კომიტეტები არკვევენ შემწეობისა და პენსიის რაოდენობას, მოსალოდნელია, რომ მუშებსა და პატრონთ შორის ბევრი სადავო საკითხი გაჩნდება. აი ამისთვის მუშებს შეუძლიათ საიურისკონსულტო საქმის ორგანიზაციების შექმნა... ერთი სიტყვით, მუშათა თვითმოქმედებისათვის ასპარეზი არის, ახალი კანონი შეძლებას იძლევა სხვა და სხვა გზით გააძლიეროს მუშათა ორგანიზაციული მოქმედება და ამიტომაც თვით მუშებმა თითქმის ყველგან უარჰყვეს პირვანდელი განზრახვა კანონის ბოიკოტისა და ინტერესით ეპყრობიან ახალ კანონის განხორციელების საქმეს. კანონის დაახლოვებული შესწავლა და მისი მოქმედების პირველივე ხანა უჩვენებს მათ, როგორ და რა გზით შეიძლება თვითმოქმედების და თავის გავლენის გაძლიერება, რა ღონისძიებებით შეიძლება ამ პირველის ნაბიჯის გამოყენება ბრძოლის გასაგრძელებლად,—იმ ბრძოლისა, რომელსაც მშრომელი ხალხი ეწევა თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ ღონისძიებათა და ამ საშვალებათა განხილვას ჩვენ შემდეგში კიდევ დავუბრუნდებით დაწვრილებით, ახლა კი გვინდა გაკვრით აღვნიშნოთ ის პირველდაწყებითი მუშაობა, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს კანონის განხორციელებისთვის.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ დაზღვევის კანონი აშენებულია ტერიტორიალურს პრინციპზე და არა პროფესსიონალურსა, როგორც ეს გერმანიაშია. ეს გარემოება, უეჭველია, კანონის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ერთის მხრით მაინც. რუსეთში, სადაც ყოველი სამრეწველო საქმე ერთნაირად არ არის განვითარებული, სადაც ერთი სამრეწველო საქმე შორს წავიდა განვითარების გზაზე, ხოლო მეორე ახლა იდგამს ფეხს, საპროფესსიო ორგანიზაცია დაზღვევისა თითქმის შეუძლებელია, რადგან ცხადია, ზოგ სამრეწველო დაწესებულებას, სიღარიბისა გამო, არც კი შეეძლებოდა საკმაო ფონდის დაარსება და დაზღვევის დაწესებულებათა გაძღოლა. მაგალითად, კავკასიაში რომ ყოფილიყო საპროფესსიო პრინციპი დაზღვევისა და ნავთის მრეწველთ საკუთარი დაწესებულებანი შეექმნათ, მაშინ დარჩებოდა სულ მცირე რიცხვი დანარჩენ სამრეწველო საქმეთა და მუშებისა, რომელთათვის დაზღვევის საქმის ორგანიზაცია ძალიან გაჭირდებოდა...

ამ სატერრიტორიო პრინციპის მიხედვით მთელი რუსეთი დაყოფილია 12 ოლქად, თორმეტ დამზღვევ ამხანაგობად: პეტერბურგისა, მოსკოვისა, ივანო-ვოზნესენსკისა, ბალტიის მხრისა, ჩრდილოეთ-დასავლეთისა, ვარშავისა, კიევისა, ხარკოვისა, ოდესისა, ვოლგის მხრისა, ურალისა და კავკასიისა. სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს პირველდაწყებითი ცნობებით, კავკასიის დამზღვევ ამხანაგობაში შედის 1½ გუბერნია, 914 ფაბრიკა-ქარხნით, რომლებშიაც 72.395 მუშა არის, სახელდობრ:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაქ. გუბ. | 433 ფაბ.-ქარ. | 48.936 | მუშა |
| ბათუმ. ოლ. | 11 „ | 1067 | „ |
| დაღესტ. „ | 16 „ | 266 | „ |
| განჯის გუბ. | 119 „ | 6759 | „ |
| ზაქათ. ოლქი | 1 „ | 58 | „ |
| ყუბანის „ | 113 „ | 4518 | „ |
| ქუთ. გუბ. | 2 „ | 52 | „ |
| სტავროპოლ. | 12 „ | 390 | „ |
| თერგის ოლ. | 64 „ | 1798 | „ |
| ტფილ. გუბ. | 121 „ | 6479 | „ |
| შავიზღვ. ოლ. | 8 „ | 1608 | „ |
| ერევნის გუბ. | 14 „ | 502 | „ |

ამ ცხრილიდანაც-კი ვხედავთ, სხვათა შორის, რა მცირეა ახალ კანონის სამოქმედო ასპარეზი.

კავკასიის დამზღვევ ამხანაგობის ადგილობრივი მმართველობა ბაქოში იქნება. მისი შემადგენლობა: თავმჯდომარე ბაქოს გრადონაჩალნიკი, წევრები—მისი თანაშემწე, სახაზინო პალატის გამგე, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი, საფაბრიკო ინსპექტორები შინ. საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროების დანიშნით, საოლქო ინჟენერი, ქალაქის საბჭოს წარმომადგენელი, სამი წარმომადგენელი სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებისა და სამიც საავათმყოფო კასსებისა. ასეთი ადგილობრივი დაწესებულება ყოველს დამზღვევ ოლქში იქნება, ესე იგი, 12—მთელს რუსეთში; ხოლო ცენტრალური პეტერბურგს, რომლის თავმჯდომარედ ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი იქნება. ამ ჟამად მზადება გამოიხატება შემდეგში: ადგილობრივი მმართველობა ყველგან დაწესდა და ახლა ირკვევენ იმას, თუ როგორ, რა წესით უნდა მოხდეს მრეწველთა წარმომადგენლების არჩევა, რა ტარიფი უნდა დაწესდეს დამზღვეველ ფონდის შესადგენად თითოეულ სამრეწველო საქმისათვის, სად უნდა გაიხსნას საავათმყოფო კასსები და სხვა. ხოლო მთავარი საბჭო არკვევს საექიმო კასსების ნორმალურს წესდებას, ამუშავებს ნორმალურ ცხრილებს პენსიების გამოანგარიშებისათვის, არკვევს დამზღვევ ოლქთა საზღვრებს და სხვა.

ეს პირველდაწყებითი მუშაობა მალე ყველგან დამთავრდება და ახალი კანონის მოქმედებაც დაიწყება. როგორც ვთქვით, მას ერთობ ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ მისი გამოყენება შეიძლება როგორც ახალის იარაღისა მუშათა თვითმოქმედების საქმეში, — იმ საქმეში, რომელიც სწარმოებს მუშათა დღევანდელ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

როგორც ვიცით, კახეთის რკინის გზის საკითხმა ახალი მიმართულება მიიღო. თ-დი დ. ა. გურამიშვილი პეტერბურგიდან იუწყება, რუსეთ-აზიის ბანკი თანახმაა რკინის გზა ძველს პირობებში დასტოვოს, თუ 550 ათასი მანეთის აქციას ეხლავე შეიძენსო. ამის გამო „ზაკავკ. რეჩ“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ბ-ნ სკადიპულისა.

„არ უნდა დავივიწყოთ, რომ თანახმად კახეთის რკინის გზის საზოგადოების წესდებისა, აშენების პერიოდში პატრონად ითვლება რუსეთ-აზიის ბანკი, რომელსაც ვერავინ დაუშლის სააქციონერო თანხა გაადიდოს. ამნაირ პირობებში თავად-აზნაურობა იძულებული გახდება უმთავრესი როლი რკინის გზის საქმეში ისევ სხვეებს დაუთმოს და სამუდამოდ დაასჯებოს თავი ოცნებას, რომ როდისმე პატრონი გაჰხდება, რადგანაც რკინის გზა ისევ იმას ჩაუვარდება ხელში, ვინც დაინტერესებულია კახეთისა და სიღნაღ-ბაქოს რკინის გზების შეერთებაში:“

არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცეს ამ გონიერ გაფრთხილებას. ადვილად შესაძლებელია, ამნაირმა კომბინაციამ ისეთი მდგომარეობა შექმნას, რომ რუსეთ-აზიის ბანკმა თავად-აზნაურობას მოახვიოს კისერზე ახალი აქციები. ყველა ამას კარგი დაკვირვება და ფრთხილი აწონ-დაწონვა სჭირდება. რუსეთ-აზიის ბანკმა ერთხელ ოსტატურად შეიყვანა შეცდომაში თავად-აზნაურობა და უნდა ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ ასეთი შეცდომა აღარ გამეორდეს.

* *

არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების გამო პეტერბურგის გაზეთ „დენ“-ში განსვენებულის ნეკროლოგია მოთავსებული:

„სამწუხარო ამბავი მოიტანა დეპეშამ; ბათომში, 21 მარტს, ღამე გარდაიცვალა ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქართველი ნიჭიერი პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე; დიდიხნის ლოგინად ჩავარდნილი, განსვენებული უკანასკნელ წუთამდე არ ანებებდა თავს სალიტერატურო მოღვაწეობას; ქართულ გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში მოთავსებული იყო მისი ღრმად მგრძნობიარი წერილები, ქართველთა ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. ადამიანი სულის იშვიათი სილამაზით პატივსცემას იმსახურებდა არა მარტო თვის თანამოაზრეთა შორის, არამედ მოწინაამდეგებისასაც. ჯორჯაძე იყო ქართველი თვალსაჩინო პუბლიცისტი, გულწრფელი დემოკრატი, იგი იყო მხურვალე დამცველი ქართველ ერის პოლიტიკურ უფლებათა, მისი დამოუკიდებელ კულტურულ ცხოვრებისა. ჯორჯაძე მედგრად ბრძოდა საქართველოს ავტონომიისთვის“.

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო)

**29 მარტის სხდომა.**

**თავ. ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს.

სათათბირომ მიიღო რვა კანონპროექტი, მათშორის საჩივრის აღძვრის წესრიგის შეცვლის კანონპროექტი, როცა მოპასუხის საცხოვრებელი ბინა გამორკვეული არ არის. სათათბირომ მიიღო კიდევ ერთი კანონ-პროექტი, რომლითაც ჯარისკაცებს სასამართლოს დადგენილებით ციხეში ჯდომის დრო არ ეთვლებათ სამსახურის ვადაში.

**გელოვანი** შრომის ჯგუფის სახელით წინააღმდეგია უკანასკნელ კანონ-პროექტისა.

განაგრძობენ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განმარტების განხილვას.

**ვერშინინს** საჭიროდ მიაჩნია ნავთის საქმეების მოსაგვარებლად დაარსდეს ცალკე კომისია.

**მოტოვილოვი** საჭიროდ სცნობს ნავთიან ადგილების ექსპლოატაცია მთავრობისავე ხელში იყოს.

**კონოვალოვი.** საჭიროა დაარსდეს საგანგებო კომიტეტი, რომელიც ყოველმხრივ შეისწავლის ასანთებ მასალის საკითხს და მიიღებს ზომებს მეურნეობის ნორმალურ განვითარებისათვის.

**პოსტნიკოვს** სინდიკატებთან საბრძოლველ საუკეთესო ზომად მიაჩნია მრეწველთა შეერთებულ მოქმედებაზე მთავრობის კანტროლის მოწყობა. გარდა ამისა აუცილებლად საჭიროა შეუმსუბუქოთ მომხმარებელთ ბრძოლა და მოეწყოს მათი კავშირები; საშუალება უნდა მიეცეს მუშებს თანაბარის ძალით გამოვიდნენ საბრძოლველად.

**მასლენიკოვი.** მინისტრის მიერ აღნიშნული ზომები საქმეს მოაგვარებდა, მაგრამ მისი კეთილი სიტყვები მხოლოდ მაშინ გარდაიქმნებიან საქმედ, როდესაც სათათბიროში დაარსდება საგანგებო კომისია. მოლაპარაკის აზრით, მინისტრის სიტყვას არავითარი გავლენა არ მოუხდენია საკითხზე.

**პაპაჯანოვის აზრით,** ნავთის მრეწველებზე გალაშქრება სავსებით სამართლიანი არ არის. ლაპარაკი ნავთის ექსპლოატაციის მტაცებლობითი სისტემაზე სამართლიანი არ არის, რადგანაც ეს თვით ნავთის მრეწველთა ინტერესებს ეწინააღმდეგება. თუ ვაღიარებთ, რომ სინდიკატები არ არსებობს, კონცენტრაციის არსებობა, რასაც მინისტრიც უარს არ ჰყოფს, ხომ მომასწავებელია სინდიკატების განვითარებისა; ამის წინააღმდეგ საჭიროა ზომების მიღება“.

**კარაულოვი** დიდხანს ლაპარაკობს და ამტკიცებს: თუ კავკავის რკინის გზას მიენიჭა უფლება ნავთის შოვნისა, მაშინ მოხდება ეკონომიური რევოლიუცია, გზა გაეხსნება ძლევამოსილ ტრესტთა განვითარებას, რომლებთანაც ბრძოლა უჭირდება ამერიკასაც. ეს ისეთი საფრთხეა სახელმწიფოსთვის, რომ ლუმილი დანაშაულობად ჩაითვლება. (მარცხნით ტაში).

სათათბირო შეუდგა შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტების განხილვას.

**ალექსანდროვი** კადეტების სახელით ლაპარაკობს. სათათბიროს წინაშე სდგას ფრიად დიდმნიშვნელოვანი პრინციპიალური საკითხი—დეპუტატის ხელშეუხებლობა. პეტროვსკის შემთხვევა მომავლისთვის დიდებული პრეცენდენტია. მინისტრმა მთელი არგუმენტაცია ფორმალურ-იურიდიულ სფეროდან გაიტანა მიზნის შესაფერ მოსაზრებათა სფეროში.

მინისტრი ამართ... მოხელეების მოქმედებას და ეყრდ... ბა სისხლის სამართლის დებულებ... მუხლებს; მინისტრი შეუწყნარებ... წინააღმდეგობაში ებმება და ამ... დება, რომ ჩხრეკა გაძლიერ... ბულ დაცვის წესების ძალ... მოჰხდა. მთავრობის წარმომა... გენელნი სისტემატიურად სცვლ... კანონიერების იდეას მიზნის შეს... მოსაზრებათა იდეაზე, ის კი არ... მით, რომ ამით ირყევა სახელმ... ფოს საძირკველნი. მთავრობის წ... მომადგენელნი ასე მსჯელობენ: ... ნონი კარგია მაშინ, როცა მათ ინ... რესებს ემსახურება და თუ კანონ... უნდათ დაიცვან თავი სოც.-დემ... კრატებმა, ისინი მაშინვე წამ... აყენებენ მიზნის შესაფერ მოსაზრ... ბას. ასეთი მოქმედება მცხოვრებ... შორის ჰკლავს მოქალაქობრ... გრძნობას; თუ მინისტრის განმარ... ბა რაიმე ინტერესს წარმოადგე... მხოლოდ იმ მხრივ, რომ მინის... არამც თუ კარგად არ იცნობს კან... ნებს, ვერც კი ამჩნევს საზ... კანონის დარღვევას (ტაში მარცხნ...

**ლიუცი.** ოქტომბრისტები მხა... დაუჭერენ მეორე საკითხზე უბრ... ლო გადასვლას: სათათბიროს დებ... ლებათა 15 და 16 მუხლი ჰგულის... ხმობს დეპუტატების პირად ხელ... შეუხებლობას; იქ არაფერია ნათ... ქვამი დეპუტატის კონებისა და ბ... ნის ხელშეუხებლობაზე. რაც შეეხე... ბა პეტროვსკის დროებითი შეპყრ... ბას, მხედველობაში უნდა მივიღ... ისიც, რომ კანონმდებელი ანიჭებ... ბინის პატრონს ჩხრეკის დროს... რების უფლებას, ამავე დროს აძლ... მას გარანტიებს. კანონმდებელი ხე... მძღვანელობდა შემდეგის მოსაზრ... ბით: კეთილსინდისიერი ბინის პა... რონი, თუ კი მას ატყობინებენ, რ... მის ბინაზე დამნაშავეები იმყოფებ... ნო, ხელს არ შეუშლის პოლიცი... ჩხრეკა მოახდინოს. თუ სახალხო წა... მომადგენლობას აქვს ფართო უფლ... ბა თვალყური ადევნოს მთავრობ... კანონ-მოქმედებას დამნაშავე პირ... დევნაში, რა წინააღმდეგობაში ი... ყოფება სათათბიროს წევრის სა... ცილი, როდესაც იგი ხელს უშლ... განახორციელოს მთავრობამ თვისი მოვალეობა და ამ ხელის შეშლ... საგანს შეკითხვის ობიექტად ჰხდ... (მემარჯვენეთა და ნაციონალისტ... ტაში)

**დოცენკო** სათათბიროს უფლ... არა აქვს არ დაიჯეროს მინისტრ... სიტყვები, როდესაც იგი აცხადებ... პოლიციამ სამართლიანი საქციელ... ჩაიდინაო. როცა დეპუტატის ხელ... შეუხებლობის კანონი იწერებოდ... არ შეეძლოთ წინდაწინვე ეფიქრა... რომ ასეთი დეპუტატები იქნებოდ... ნენ (მარჯვნივ ტაში).

**კერენსკი** მიჰმართავს ოქტომბრი... ტებს და მოჰყავს შინაგან საქმე... მინისტრის, ბულიგინის სიტყვებ... 1905 წ. წარმოთქმული: საჭირო... უზრუნველყოფილი იყოს დეპუტ... ტების პიროვნება, რათა დეპუტატ...

# ცოტა რამ გაბაშვილის მხატვრობის შესახებ

არ ვიცი, რას მივაწერო, იმას, რომ სურათები რიგზე ვერ არის გამოფენილი, ან იქნება იმას, რომ თვით დარბაზი როგორღაც შეუფერებელია გამოფენისათვის, ანდა შესაძლებელია თვითონ სინათლის ბრალიც იყოს, რომ შუქს თვითეულ სურათს ისე არა ჰფენს, როგორც ეს შენიშნა მხატვარმა ამა თუ იმ სურათის შემოქმედების დროს,—გამოფენა სათანადო შთაბეჭდილებას ვერა სტოვებს. ავიღოთ მაგალითისათვის მარჯვენა კედლის სურათი „ხევსურთა ცხოვრებიდან“. ეს ესკიზი თქვენს ყურადღებას იპყრობს არა მარტო თავისი ზომით, არამედ თითქოს შინაარსითაც. მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ იდეისა და ფორმის შუა სათანადო თანხმობა ვერ აღმოაჩინოთ, ოპტიკურ მხარით ხომ ნულარა ბრძანებთ, შეცდომა-შეცდომაზე მისდევს. მაგრამ ავწეროთ თვით სურათი: ჩაჩქანში ჩამჯდარი ხევსურთა ხევის ბერი ჩასაფრებულსა თუ საფრიდან ამოშლილ რაზმს წინ მიუძღვის; მის გვერდით მედროშეა, მაგრამ წელში ისე მოხრილა (უეჭველია, მხატვარს მხედველობაში აქვს, ვითომც ეპარება მტერს), მერე ისე საწყლად, რომ ამ გლახას თავის დღეში მედროშეობა ვერ შეეძლებოდა; მათს უკან მწყობრი რაზმის სილუეტია; თვითეულ მებრძოლის წინ ბოლია ავარდნილი, სჩანს, ღამე უთევიათ, ცეცხლი ნთებიათ, თუმცა თვით ცეცხლი არსადა სჩანს. შემდეგ იწყება ღელე, მდინარის ვიწრო ხაზი და მთის პერსპექტივა, რომლის თავზეც მოსცურავს მზე, თუ მთვარე *). აი, ამ მასალით არის აშენებული ეს ესკიზი. სამწუხარო ის არის, რომ აქ მასალა ისევე ნედლი სახით არის დარჩენილი, ვერ ვხედავთ შესაფერს განაწილების ფერადების სათანადო ტონების ხმარებას, რის გამოც სურათს არ შეუძლიან მკაფიო შთაბეჭდილების მოხდენა. სჩანს მხატვარს ჯერ კიდევ არა აქვს შეთვისებული სივრცის პრინციპი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა მოქმედების წერტილი შეთანხმებული იქმნეს, დიდი ყურადღება მიექცეს პერსპექტივების გაცხოველების ოპტიკურ შთაბეჭდილებათა ეფექტებით და სხვა და სხვა. ჩვენმა მხატვარმა სამართლიანად აუღო ალღო, როდესაც სურათის წინა პლანზე ყველა ის მომენტები მოაქცია, რომელნიც მის განსაზღვრულ იდეისა და გეგმის ტენდენციას შეადგენენ. ეს ასეც უნდა იყოს: ყოველისფერი ის, რაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს იდეის ხაზგასასმელად, წინა პლანზე უნდა იყოს მოქცეული. საჭიროა აქ ყველაფერი ნათელი იყოს, კომპაქტიური, მძიმე და ძლიერი. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ წინა პლანი სავსებით გამოვყოთ, ხოლო დანარჩენი სივრცეში მივჰყლიტოთ: აქ საჭიროა შესაფერი გრადაცია. მხატვარმა ისე უნდა გაანაწილოს გრძნობათა ფორმების აქტიური ძალები, რომ თანდათანობით სიღრმეში გადაგვიყვანოს. რა თქმა უნდა, აქ სხვა და სხვა ფერებს სივრცისთვის სხვა და სხვა ფასი აქვსთ, რომელთა მოხმარება თვითონ მხატვარის უნარზეა დამოკიდებული. ამ სურათში კი, როგორცა ვსთქვი, შეცდომა შეცდომაზე მისდევს. დავყვეთ მთავარი ფიგურიდან: ჩაჩქანოსანი ბერი, მიუხედავად იმისა, რომ მხატვარს მთელი ძალღონე მის გარშემო მოუკრებია, ვერ არის ხელოვნურად გამოყოფილი. აქ საზოგადო ნაკლი ის კი არ არის, რომ იგი უფრო სალოდავ რუს ხუცესსა ჰგავს, არამედ ის, რომ ამ ბერის სახით მხატვარმა ვერ მოგვცა სიცხოველე, ვერ შესძლო ეჩვენებინა სინთეზი მთის ბუმბერაზი ბუნებისა, არწივისებური სიმკვირცხლე და ცეცხლი, რომელსაც ჰკვესავენ ფრიალოს ბუდოსანი არწივები. მართალია, მხატვარი ცდილა, რომ ბერი მხარ-ბეჭიანი დაეხატნა, გაშლილი მკერდით, მაგრამ სიცოცხლე კი მოაკლო. ამაზე საწყალი ხომ საბრალო მედროშეა, რომელსაც თავზე დოლბანდი თუ ტყავის ქუდი დაახურა. ამ ორი ფიგურით თავდება წინა პლანი. შემდეგ ხაზია გავლებული. ხევსურნი მწყობრ რაზმებად დგანან თუ ჩასაფრებულან. აქ მარტო ის კი არ არის ნაკლი, რომ უადგილო ადგილას ბოლი ჩაურთვია მხატვარს, არამედ ის, რომ ამ ბოლის ლამაზად, უკედ, ყინულის ზოლად დახატვისთვის უფრო მეტი ყურადღება მიუქცევია, ვიდრე თვით რაზმების ცოცხალი მოძრაობისთვის. მთიელთა რეგულიარული რაზმები დღევანდელ ჯართა მწყობრის წესებით აღჭურვა. ეს ნიშანია შემოქმედ ფანტაზიის სიღარიბისა. ყველა სიკეთესთან ერთად გარეგნულ ფორმების ნაკლულევანებას დაერთო სულიერი შინაარსის სიღატაკეც. ჩვენ გვესმის, რის თქმაც უნდა მხატვარს, მაგრამ ამას სურათში კი ვერა ვჭვრეტთ; მხატვარი მეტად უძლური გამოდგა, რომ ხილულის იქით დაენახვებინა უხილავი, გასაგონარის გარდაღმა მხარეს შეუსმენელი, ერთი სიტყვით, გრძნობათა ფორმების მეორე მხარეს გარდაშლილი ესკიზის სულიერი შინაარსი, რომელსაც აგვირგვინებს გახურებულ ხუფსავით გატყლაპული მთვარე თუ მზე.. თუ მხატვარს მაინცა და მაინც ჰსურს მიგვითითოს ბუნებაზე, როგორც შემოქმედების წყაროზე, მან უნდა გვაჩვენოს არა მარტო ერთი პასიური მიმღეობა, არამედ ბუნებისა და ფანტაზიის შეთანხმებული მოქმედება: საჭიროა მათ შორის ჰსუფევდეს რითმი, მხატვრული აქცენტი, ჰარმონია.

ამ მხრივ თითქოს დასრულებულ სურათად უნდა ჩაითვალოს „ბაზრობა სამარყანდში“. მშვენივრად დაცული პერსპექტივა, თითქოს ერთგვარი ინვერზიაც, რაიც ასე სახარბიელო მიზნად დაუსახავთ მრავალ მხატვარს, რომ სურათის შინაარსი სიღრმის ფონზე გვაჩვენონ გადაშლილი ვიდრე წინა პლანზე, მასსიური მოძრაობა თუ ჩრდილთა ტონები საუცხოვოდ შეუზავებია ჩვენს მხატვარს. მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ ყოველი ხაზი, სიღრმის ფონი, მეჩეთის გუმბათები, ფრესკები, მოზაიკა თუ მოძრავი ხალხი სიცხე-პაპანაქების ალმურში ისეც გახვეული, ისეთნაირად გაურანდ-გაუსუფთავებია, რომ მხატვრული ღირებულება ეკარგება სურათს. იკარგება თვით სურათის ოპტიკური წერტილი, იკარგება მხატვრის კალამიც და სტილისტიური გრძნობის სიცივე მას ასვამს გრაფიკულ ხელოვნების კომპოზიციის ბეჭედს; იგი უმთავრესად აკვარელით შეღებილ გრავიურას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ტილოს და ზეთის ფერადებით ნაწარმოებს სურათს.

ასეთივე ნაკლულევანებით შეუსრულებია არა ნაკლებ დეტალურად მოხაზული სურათები: „ხევსურთა კენწლაობა“, „ხევსურთა ქიდაობა“ და სამი თუ ოთხი ტილო, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაუსრულებია მხატვარს.

დანარჩენ ტილოებიდან აღსანიშნავია ორი: „წმიდა ნინო“ და „აღდგომა ქართველებში“. პირველი სურათი მეტად საუცხოვოდ არის შესრულებული, თუმცა მცირეოდენი ნაკლი ამასაცა აქვს. მდიდარი ბუნება, უეჭველია, გვითითებს ურბნისის მახლობელ უტეხ ტყე ღრეს მტკვრის ნაპირებზე. მთვარის სხივების იდუმალებას ჩაუნთქავს ეს ველური მიდამო. შუაში კი მწირ მოგზაურის სახით ჰზის ნინო, უაღრეს რწმენით გულზე ვაზის ჯვარი მიუსვენებია და ზე აპყრობილი თვალებით ჰსჩანს, რომ ჰსასოებს თვის რწმენის ღმერთს, რომელსაც ვაჟკაცის ბუნებით აღუჭურვია ეს ბავშვი მოგზაური. მავიწყე... მხატვრის ყურადღებას, რომ მის ნა... წარმოებთა შორის ეს შედევრი ი... ნება, თუ თვითონ ნინოს კორპუ... მამაკაცის მოყვანილობიდან გაანთა... ვისუფლებს, თორემ ჰლირს წვერ... ულვაში გაუკეთოს, რომ ნინო ვაჟ... კაცად ვიგულისხმოთ. ყოველ მხრი... დასრულებულ სურათს მარტო ე... ნაკლი აუშნოვებს...

რაც შეეხება მეორე სურათ... „აღდგომა ქართველებში“, უფრ... საინტერესო იქნებოდა, რომ მხატ... ვარს ერთი უტლანქესი შეცდომ... არ მოსვლოდა: ქალს კვერცხი უჭ... რავს და მამაკაცი ზევიდანა ჰკრავ... ეს არ შეჰშვენის ვაჟკაცს და არც... მგონია სადმე ვნახოთ მზგავსი სუ... რათი.

ამ გამოფენაზე არა ნაკლებ ყუ... რადღებას იქცევენ სურათები, natu... morte. მხატვარმა ასზე მეტი ტილ... გამოჰფინა, მაგრამ ყველა ისე წვრილ... მანია, რომ თვითვეულის აღწერ... შორს წაგვიყვანს. ამ მხრივ საინტე... რესო პეიზაჟებია „სიღნალი“, „ალაზ... ნის ველი“, „ბორჯომი“, „მცხეთა“, „იალბუზი“, რავდენიმე სურათი... „უფლის ციხიდან“, „ვარძიის მონას... ტერი“, „მეხით გაპობილი მუხა“ დ... სხვა და სხვა. მაგრამ ყველაზე სა... ყურადღებოდ უნდა ჩაითვალო... „პირვანდელ ადამიანთა სადგომი“... სადაც მხატვრის ფანტაზიას საკმა... ოდ ფრთები გაუშლია. საზოგადოდ... კი უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მრა... ვალ მასალიდან შესაძლებელია მხატ... ვარმა დიადი სინთეზი მოახდინო... და მოგვცეს ერთი მთლიანი სურათი, სადაც შესაძლებელია ადამიანმა გან... სჭვრიტოს თვით ბუნება, ეს უდი...

*) ყოვლად შეუძლებელია ამისი გარჩევა. მხატვარს ამ ბოლო დროს ვითომც შეუსწორებია და მკრთალი ღრუბელი მიუკრავს ამ გადადადებულ ხუფისათვის, მაგრამ გამოცანა ისევ გამოცანად რჩება. თუ მზეა, რა უნდა ნისლს და ჩრდილთა ტონებს, თუ მთვარეა—მაშინ რაღა საჭირო იყო ცის შეწითლება. დ. ქ.

ბის პიროვნებაზე არავითარი ძალადობა არ მოხდეს. მინისტრთა საბჭო დაეთანხმა ბულიგინის სიტყვებს. დღეს კი გამომდგარა ოქტომბრისტი ლიუცი და ამბობს: თუმცა კანონი დარღვეულია, მაგრამ პეტროვსკი კეთილ სინდისიერი ბინის პატრონი არის, და არ არის იმიტომ, რომ კანონი სწორედ მაშინ დაირღვა, როდესაც საქმე მას შეეხებოდა. ოქტომბრისტებმა ტყუილი სთქვეს პეტროვსკის შესახებ. (ტაში მარცხნით)

**თავმჯდომარე** კერენსკისა სთხოვს წესიერება დაიცვას.

**კერენსკი.** ჩხრეკა მოხდა გაძლიერებულ დაცვის დადგენილებათა 21 მუხლის წესით; ამას საერთო არა აქვს რა ჩვენების ჩამორთმევის 1035 მუხლთან. მაშასადამე მთავრობის განცხადება ჭეშმარიტებას არ შეეფერება; (ტაში მარცხნივ).

**პურიშკევიჩი.** ექვს გარეშეა, დეპუტატის სიტყვის და ბინის აიავიუცულება წმინდათაწმინდაა, მაგრამ შეეძლო განა ბულიგინს ეფიქრა, რომ მარცხენა სკამებზე ისეთი ბატონები ისხდებოდნენ, რომელნიც მარცვა-გლეჯას მიჰყობდნენ ხელს, როგორც მაგალითად მეორე სათათბიროს წევრი კუზნეცოვი ან ისეთები, რომელნიც სახელმწიფოში ანარქიის მოხდენას ჰლამობენ? იმის თქმა, რომ პეტროვსკისთვის უნდა მიეცათ საშუალება მისულიყო ტელეფონთან, სულუბრყვილო თქმაა, რადგანაც პეტროვსკის შეეძლო თუ თავისი ყუმბარა არა, ნარინსკის სტუმრების მიერ დამზადებული ყუმბარა მაინც მოეტანა.

მემარჯვენენი სრულიად დაკმაყოფილებულნი არიან მინისტრის განმარტებით და შეკითხვის უარყოფას მხარს დაუჭერენ. თუ კი საჭირო იქნება უფრო ნათლად გამოვთქვათ გრძნობა, საჭიროდ ჩავთვლიდით ღრმა აღშფოთება გამოეცხადოს პეტროვსკის, რომელიც თავისი ხელშეუხებლობის უფლებით ჰსარგებლობს და თავის ბინაზე თავს უყრის ყველა კატორღელს (მარჯვნით ტაში). დასასრულ პურიშკევიჩი ოქტომბრისტებს ულოცავს (სიცილი და ხანგრძლივი ტაში მარცხნით).

**ალექსეევი.** ნაციონალისტებმა შეკითხვა საც და მის სისწრაფეს ხმა მისცეს. როდესაც ყოველ მხრივ გამოირკვა საქმის ვითარება დარწმუნდნენ მთავრობის კანონიერ საქციელში. ნაციონალისტები უცხადებენ ღრმა აღშფოთებას შემკითხველებს და სრულიად დაკმაყოფილებულნი არიან მინისტრის განმარტებით. (ტაში მარჯვნივ)

შემდეგი სხდომა 2 აპრილს საღამოთი.

## სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).

**29 მარტის სხდომა.**

**ჩიმოვი** თავმჯდომარეობს. საბჭო განაგრძობს მსჯელობას სამსახურში ჩადენილ დანაშაულებათა საქმეების წარმოების შეცვლის კანონპროექტს.

დიდ კამათს იწვევს 1074 მუხლი. სათათბიროს ჰსურს ამგვარი საქმები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადასცეს, საბჭოს კომისია კი იმ აზრისაა, რომ ამგვარი საქმეები გადასცენ საოლქო სასამართლოებს და პალატებს. მხოლოდ ექვსი წევრი, თავმჯდომარე **მანუხინის** მეთაურობით, სათათბიროს რედაქციას უჭერს მხარს.

**დურნოვო** იცავს კომისიის უმრავლესობის აზრს.

**იუსტიციის მინისტრი** დურნოვოს მიერ მოყვანილ საბუთებს აბათილებს და ამტკიცებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სარგებლობას ამ საქმეში.

**კოვალევსკის** მოჰყავს საბუთები იმისა, თუ რა დიდი, აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს და უერთდება მინისტრის და კომისიის უმცირესობის აზრს.

**მომხსენებელი დეიტრიხი** ადასტურებს კომისიის უმრავლესობის აზრს და ამტკიცებს, რომ ამგვარი საქმეები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ორგანიულად დაავადმყოფებულია. სხვა რაიმე მოსაზრებით არ შეიძლება იმ გარემოების ახსნა თუ არა სნეულობით, რომ დამნაშავენი, ცოლის მკვლელნი, ნაფიცთა მსაჯულებმა გაამართლესო.

**მაკაროვი** კომისიის უმრავლესობის აზრს ემხრობა.

კენჭის ყრით საბჭომ მიიღო უმრავლესობის აზრი.

სხდომის განახლებისას საბჭომ მიიღო მუხლების მთელი რიგი სხვა და სხვა შესწორებით და გამოკლებით.

შემდეგი სხდომა 2 აპრილს.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** გუშინ, დილის 9 საათზე, ტფილისიდან ბათომს გაემგზავრა ჰაერის გამოსაცვლელად. მასთან ერთად წავიდნენ: მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისა, შვილები: ი. ი. შერემეტიევისა და მ. ი. მუსინა-პუშკინისა, ექიმი ი. ფ. შევჩენკო, მეფის მოადგილის ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი თ-დი ჭავჭავაძე და სხვა მოხელენი.

✦ **ოქმიდან ამოწერილი.** გუშინწინ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას გადაეცა განსვენებულის არჩილ ჯორჯაძის წერილები, ხელთნაწერები და სხვა. მოგვყავს ოქმიდან შემდეგი:

1913 წელს, მარტის 28-ს, ჩვენ ქვემორე ხელისმომწერთა თანადასწრებით „სახალხო გაზეთის" რედაქციაში გავხსენით ბათომიდან ჩამოტანილი განსვენებული არჩილ ჯორჯაძის ბარგი. აღმოჩნდა შემდეგი:

**ა) კონვერტი დალუქული** განსვენებულის მიერ შემდეგის ხელწარწერით: ამ ქაღალდების გახსნის უფლება აქვს მხოლოდ კიტა აბაშიძეს ჩემი სიკვდილის ხუთი წლის შემდეგ; ქაღალდები უნდა ინახებოდეს „სახალხო გაზეთის" ან მის მიმდევარ გაზეთის რედაქციაში.

**ბ) ტყავის პორტფელი.** რომელშიც ინახება მისი სხვადასხვა პირებთან მიწერ-მოწერა. (ამაშია ქაღალდის საქრელი).

**გ) ქაღალდის პორტფელი:** მის თხზულებათ მეხუთე ტომისათვის დამზადებული მასალებით.

**დ) ქაღალდის პორტფელი:** ზოგიერთი მისი ხელნაწერი.

ყველა ეს გადაეცემის შესანახად „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", რადგან სიკვდილის წინა დღეებში თვითონ განსვენებულმა სიტყვიერად გამოთქვა გიორგი ლასხიშვილთან და სისიკო მდივანთან ამის სურვილი.

ხელს ვაწერთ: გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ლასხიშვილი, არ. კუმბაძე, კიტა აბაშიძე, მიხ. ჯავახიშვილი, არ. ჯაჯანაშვილი".

✦ **ილიას ძეგლი.** ინჟინერ პ. მამრაძეს დაუსრულებია ილიას ძეგლის მთელი სამუშაო და ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობას წინადადება მისცა, ძეგლი ჩაიბაროს. გამგეობამ დაადგინა, ამ კვირია მოიწვიოს ინჟინერთა, ხუროთ-მოძღვართა და მხატვართა კომისია და მის თანადასწრებით ძეგლი ჩაიბაროს.

✦ თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობის საზოგადოებას მიანდო, **გაანაწილოს მეცნიერებისა, ლიტერატურისა და ხელოვნების ასპარეზზე მოღვაწეთა შორის ის 1600 მან.,** რომელიც თავად-აზნაურობამ გადასდო. საზოგადოებამ ფულის გასანაწილებლად საგანგებო კომისია აირჩია, რომელშიაც შედიან ქართულ საზოგადო დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენელნი. წ.-კ. საზოგადოების მხრივ არჩეულია ა. თ. ყიფშიძე.

✦ გუშინ ტფილისში, თავის ბინაზე, **უეცრად გარდაიცვალა** ალექსანდრეს სახელობის საქალაქო საავადმყოფოს მთავარი ექიმი და გამგე **ს. ს. ისთამანოვი** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, თანაგრძნობა გამოუცხადოს განსვენებულის ოჯახობას, დაესწროს მის დასაფლავებას და გარდაცვალების ამბავი ქალაქის საბჭოს აცნობოს.

✦ **საქალაქო მიწების ექსპლოატაციის** საკითხის გამოსარკვევად, ქალაქის გამგეობამ ორჯელ მოიწვია საქმის მცოდნე სპეციალისტთა თათბირი. იმ საკითხის გადაწყვეტამდე, შესაძლებელია თუ არა ეს ცარიელი ადგილები ქალაქმა სასოფლო მეურნეობისთვის მოიხმაროს, თათბირმა პირველად საჭიროდ იცნო, 1) გამოიკვლიონ ამ მიწების ნიადაგი, გეოლოგიური შემადგენლობა და მისი ბუნებრივი თვისებები, 2) შეადგინონ ტეხნიკური და ფინანსიური პროექტი საქალაქო მიწების მორწყვისა მტკვრისა და არაგვის წყლითა და 3) ამ საქმის განხორციელება მიენდოს საგანგებოდ მოწვეულ სპეციალისტებს.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე, რათა საშუალო სასწავლებლების საალმაშენებლო თანხიდან ბათომის გიმნაზიას სესხად მისცეს 28,096 მან. ამ გიმნაზიის მახლობლად შავის ზღვის ნაპირის შესამაგრებლად. ამ საქმისთვის მზრუნველმა წინად 36,700 მან. ითხოვა ზღვის ნაპირის ერთხელ და სამუდამოდ შესამაგრებლად, მაგრამ მაშინ სამინისტრომ მხოლოდ 8, 604 მან. მისცა.

✦ **საბირჟო ცნობები.** 30 მარტს შეთანხმება არ მომხდარა. სარგებლიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 90 კ., აძლევენ—85 მან. 45 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. აძლევენ—82 მან. 50 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან., აძლევენ—77 მან. 75 კაპ.

✦ გუშინ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ქალაქის იურისკონსულტად ნამყოფ **გ. ზ. ქანანოვის საჩივარი** (ქალაქის გამგეობას უჩივის) ქალაქის საბჭოს კრებას 1 აპრილს წარუდგინოს, თანახმად გუბერნატორის წინადადებისა.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქ.-შ. წ.-კ. გ. საზ. გამგეობის კრება** 29 მარტს მოხდა. კრებამ, სხვათა შორის, მოისმინა განცხადება პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან არსებულ ქართულ სამეცნიერო სამეურნეო წრისა, რომელსაც პროფ. ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს. წრეს განუზრახავს, შეადგინოს ქართული საბოტანიკო ლექსიკონი, რომლისათვისაც შესაფერ მასალას სთხოვს გამგეობას. გამგეობამ დაადგინა, გაუგზავნოს წრეს ყველა წიგნი და მასალა, რომელიც მოეპოვება. წრეს, სხვათა შორის, განუზრახავს, ამ ზაფხულს საქართველოს სხვა და სხვა ადგილი მოიაროს და ხალხის შორის შეაგროვოს ჩვენებურ მცენარეთა სახელები.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** წევრთა წლიური კრება 6 აპრილისთვის დაინიშნა. სარევიზიო კომისიამ უკვე დაასრულა განხილვა საზოგადოების წარსულ სეზონის მოქმედების ანგარიშისა, რომელიც ამ დღეებში დაიბეჭდება.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა** რწმუნებულთა კრება, რომელიც 26 მარტს ხელოვნურად ჩაშალეს, 1 აპრილისთვის დანიშნეს. კრება აირჩევს ხარჯის აწკრებ მამასახლისს და სამ მის თანაშემწეს. ოთხივე თანამდებობა ფასიანია.

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 28 მარტს მოხდა. საბჭომ განიხილა საზოგადოების 1912 წლის მოქმედებისა და ხარჯების ანგარიში და 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და დაამტკიცა, 7 აპრილის წლიურ კრებისთვის წარსადგენად.

ჟურნალ „მოსავალის" რედაქციამ ლონდონიდან მიიღო კერძო მეურნეთა დავალებით გამოწერილი ინკუბატორი (კვერცხების გამოსაჩეკი მანქანა) და კვერცხების გამოსაჩეკი ლამფები. მსურველთ შეუძლიანთ ლამფები რედაქციისაგან შეიძინონ. ინკუბატორი კი ერთია—საცდელად გამოწერილი.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 1 აპრილს მოხდება. დარჩენილ საკითხების გარდა კრება განიხილავს იმ კომისიის მოხსენებას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქალაქის გამგეობის 1912 წლის საფინანსო ანგარიშის განხილვა.

✦ **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების**, დღეს საღამოს, ქალაქის საბჭოს დარბაზში წლიური კრება ექნება **აბასთუმანის სანატორიის** დაწყრილებით ხარჯთ-აღრიცხვისა და საზოგადოების 1912 წლის მოქმედების ანგარიშის განსახილველად.

### სასამართლო

✦ **სასალახოს გარშემო.** ხვალ, 1 აპრილს, მეორე სამომრიგებლო განყოფილებაში ხელ-მეორედ დანიშნულია საქმე სასალახოს აღმშენებელ ინჟინერ მ. პ. აღაჯანოვისა და მოიჯარადრის ვახნიანსკისა, რომელთაც ხმოსანი ი. სულაბერიძე უჩივის, ქრთამის თხოვნა დამაბრალესო. სასამართლოს დარბაზში ხალხს ბილეთებით შეუშვებენ. პრესის წარმომადგენლებს უბილეთოდ შეუძლიანთ შესვლა. ხმ. ი. სულაბერიძეს ვექილებად ჰყავს ნაფიცი ვექილი ი. კ. მაჭავარიანი და ნაფიც ვექილის თანაშემწე კ. დ. ზელენსკი, ხოლო ბრალდებულთ—ნაფიცი ვექილი მ. ი. გრუზენბერგი.

### გორი.

✦ გვირგვინის გარდა, ქართველ საზოგადოებაში შეგროვილ ფულით **დაუვიწყარ არჩილ ჯორჯაძის ხსოვნის აღსანიშნავად** ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიაში **სწავლის ფულისაგან განთავისუფლებულ იქმნა** ერთი ობოლი, ღარიბი ქართველი მოწაფე, რომელიც უსახსრობისა გამო სკოლის გარედ იყო დარჩენილი.

✦ როგორც მკითხველს ეხსომება, წარსულ ზაფხულს ქალაქის გამგეობამ განიზრახა ხელახლად შეეფასებინა მცხოვრებთა მთელი უძრავი ქონება და ხელახლავე ისე გაეწერა გადასახადი, მაგრამ გუბერნატორმა დამფასებელ კომისიის წესდება და ხარჯთ-აღრიცხვა მაშინ არ დაამტკიცა. დამტკიცებული წესდება ქალაქის გამგეობამ წელს მიიღო და დამფასებელი კომისია პირველ აპრილიდან შეუდგება თავის მოქმედებას. შეფასებულ იქმნება ყოველი უძრავი ქონება, რომელიც ქ. გორის ფარგლებში იმყოფება. ქალაქი გაყოფილია სამ ნაწილად და ამის მიხედვით დამფასებელი კომისიაც გაყოფილია სამ წყებად. თითო წყებაში შედის თვითო დამფასებელი და მისი თანაშემწე. მუშაობა კომისიამ სამი თვის განმავლობაში უნდა დაასრულოს.

✦ რადგანაც მდ. ლიახვმა საკმაოდ დაახიანა მის მარცხენა ნაპირზე გავლებული დამბა და სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ საქალაქო ბაღთან ძალიან ჩახრამა ადგილი, ქალაქის გამგეობის ინიციატივით ახალ დამბას უვლებენ საერობო თანხის ხარჯით.

✦ წელს, მაისში ადგილობრივ ე. ზ. თარხან-მოურავის ქრა-კერვის სკოლაში პირველად იქმნება გამართული გამოფენა-ბაზარი. გამოფენილ და გაყიდულ იქნება მოწაფეთა ნაწარმოებნი: ნაქარგი, ნაკერი, ნაქსოვი. რადგან წელს პირველად ათავებენ სკოლას მოწაფენი, მათ გამოსაცდელად ტფილისიდან მოწვეულ იქმნებიან ექსპერტები..

✦ საურთიერთო ნდობის ბანკის წევრთა წლიური კრება უნდა მომხდარიყო აპრილში, რადგან ანგარიშები დამზადებული არ არის, კრება შემდეგისთვის გადაიდო. კრებაზე სხვათა შორის ამოსარჩევია ბანკის მეორე დირექტორი—მოლარე (კასირი) გ. კვალიაშვილის მაგიერ, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა.

✦ ხუთშაბათს, 28 მარტს, ქალაქის თავმა ბ. ქიტიაშვილმა დაიბარა ქალაქის თვითმმართველობაში მენახშირეები და გამოუცხადა: ტფილისის გუბერნატორის დადგენილების თანახმად, წელიწადში თითო ცხენზე და ჯორცხენაზე უნდა გადაიხადოთ ოთხი მანეთი, ხოლო ვირზე—ორი მანეთი. ამას გარდა თვითეულ ცხენს თუ ვირს უეჭველად უნდა ჰქონდეს ზედ განსაკუთრებული ნიშანი, რომელსაც ჩვენგან მიიღებთ. თუ ეს ნიშანი არ ექნება, ცხენს არც ხიდზე, არც ქალაქში არ გაგატარებინებენ და დაგაჯარიმებენ კიდეცაო.

### ქუთაისი

✦ დღეს, 31 მარტს, ქალაქის თეატრში, ი. **გრიშაშვილი** გამართავს საინტერესო სალიტერატურო სამუსიკო საღამოს.

✦ ი. გაბილიას ნება მიეცა ქ. ქუთაისში 7-11 აპრილამდი მომხმარებელ-შემნახველ გამსესხებელ საკრედიტო ამხანაგობათა კრება მოიწვიოს. კრების მიზანია ადგილობრივ ნაწარმოების გასაღება და ამხანაგობისათვის „პარტიობით" საქონლის შეძენის მოგვარება.

✦ 28 მარტს, სახაზინო პალატის დარბაზში, მოხდა ქუთაისის ბუნების მეტყველების მოყვარულთა საზოგადოების კრება, რომელსაც დაესწრო 25 წევრი. კრებამ აირჩია საზოგადოების კომიტეტის დანარჩენი წევრები: ა. მ. ვასილევსკი, პ. ს. ბელესტოვი, ნ. ი. ლებედევი, მ. პ. მილიუტინის ასული, ვ. ვ. კოტლიაროვი, ვ. მ. ლორთქიფანიძე. თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქმნა პ. ი. მოსიძე. ამავე დროს საზოგადოებამ ერთხმად გადასწყვიტა, რომ საზოგადოების წესდების 33 მუხლის ბოლო, სადაც ნათქვამია: საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ საზოგადოების მთელი ქონება ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციის განკარგულებაში უნდა გადავიდეს, ამნაირად შესცვალეს: საზოგადოების საქმეების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება და ფული უნდა გადავიდეს ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის განკარგულებაში.

✦ წ.-კ. ს. ქუთ. განყოფილების 1912 წლის ანგარიში გამგეობამ განიხილა და დაამტკიცა. განყოფილების წევრთა წლიური კრება, რომელიც უნდა მომხდარიყო 31 მარტს, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო 27 აპრილისათვის გადაიდო.

### ჭიათურა.

✦ 27 მარტს, ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზე, ა. სარჯველაძის სარდაფს ცეცხლი გაჩენია და გადამწვარა 24 დუქანი. ზარალი არა ნაკლები 100 ათასი მანეთისაო. ცეცხლი გაჩენილა აგრეთვე ხეტაფონში და გადამწვარა კალატონის წისქვილი.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ გაზეთში დასტამბულ წერილში „წერილები კავკასიაზე" რამოდენიმე კორექტურული შეცდომა მეგვეპარა. მესამე სვეტზე, ქვევიდან მე-11-ე სტრიქონში დაბეჭდილია: „აქ **იმაზე** არავინა ფიქრობს," უნდა იყოს: აქ ომზე არავინა ფიქრობს. იმავ წერილის ბოლოში დაბეჭდილია, „ოფიციალურ" **დამცველებად,** უნდა იყოს: „ოფიციალურ" **დამცველებით**".

## სამძიმრის დეპეშები

უკანასკნელ დღეებში რედაქციამ მიიღო კიდევ შემდეგი დეპეშები არჩ. ჯორჯაძის გარდაცვალების გამო:

**კიევი:** კავკასიის სათვისტომო საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტებისა; **ლიეჟი:** ლიეჟის ქართველობა; **მოსკოვი:** ქართული საზოგადოება მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ლიტერატურისა (წარმომადგენელი ბ. არაყიშვილი); **იალტა:** ალექსანდრე იობიძე, აბაშიძე, ცერცვაძე, ქუმსიაშვილი, ტოლომაშვილი, ჩიტაშვილი; **კიევი:** სამხედრო საავადმყოფოს ქართველი ფერშლები; **სამარყანდი:** მიხეილ ლობჟანიძე; **ეჩმიაძინი:** მიხეილ სახოკია; **ველიკოკნიაჟევსკი:** ნინო და სოლომონ ქეიშვილები; **ეისკი:** კვირიკაძე; **თელავი:** ახმეტის ინტელიგენცია; **თელავი:** კალაურის ინტელიგენცია; **დუშეთი:** საზოგადოების მონდობილობით ექიმი ალექ. ბერიშვილი; (პანაშვიდი გადაუხდიათ); **ფოთი:** ფოთის მოვაჭრეთა მონდობილობით მებუკე; **ჭრებალო:** საზოგადოების მონდობილობით კაკო გელოვანი; **ნოვოჩერკასკი:** დონის პოლიტეხნიკუმის ქართველი სტუდენტები: **კავკავი:** კალანდარაშვილი.

## წერილები კავკასიაზე

(„რუსკაია მოლვა" № 100.)

როდესაც კავკასიის ეთნოგრაფიულ რუკას შეხედავთ, მაშინვე შეამჩნევთ, რომ ოსმალეთის სომხეთიდან, როგორც ცენტრიდან, სომხური ელემენტის ნაკადი თან და თან ჩრდილოეთისაკენ მიიწევს. დასაწყისში ეს ნაკადი ჯერ კიდევ შეიცავს რამდენადმე მთლიან ტერიტორიას, არა უმეტეს ოთხი-ხუთი მაზრისა (სომხებისავე გამოკვლევით), მაგრამ შევიწროებული—დასავლეთიდან ქართველებით, ხოლო აღმოსავლეთიდან კავკასიის მაჰმადიანებით—იგი თან და თან კნინდება, იყოფება რამდენიმე მცირე ზოლად და როსტოვ-ასტრახანის მიდამოებიდან, როგორც ტერიტორიალური მთლიანი, სრულიად იფანტება ველიკორუსიის თვალუწვდენ მინდვრებში. ხოლო ოსმალეთის საზღვარს გადაღმა რჩება ნაციონალური სანერგე, სადაც მხოლოდ რჩეულნი უმკლავდებიან ოსმალთა სარწმუნოებრივ—ეკონომიურ შევიწროებას. შესაძლებელია, ამ შევიწროებაში ეკონომიურ მხარეს მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე სარწმუნოებრივს. ტემპერამენტითა და საქმიანობის უნარით სომხები, გარდა ებრაელებისა, უფრო ერჩევიან კავკასიის მეოცნებე მაჰმადიანებს, ვიდრე დანარჩენი ერები. ანალოგია ებრაელების მდგომარეობასა და კავკასიაში მცხოვრებ სომეხთა შუა თავის თავად გებადება გონებაში. და თუ კულტურულ პოლონეთში შესაძლებელია დღეს ისეთი მახინჯი მოვლენა, როგორიცაა ბოიკოტისტური მოძრაობა, ოსმალეთის აზიის პროვინციებში ამგვარი მოძრაობა თითქმის შეუწყვეტელია. ამგვარ პირობებში ადვილი საქმეა ერთა წასისინება, ამიტომ ამ პოლიტიკამ ერთ დროს მძლავრად მოიდგა ფეხი ოსმალეთის საზღვრის გადაღმაც და გადმოღმაც. მიუხედავად ამისა, სომხის ხალხის ორი ნაწილის მდგომარეობა იმდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რომ რუსეთის ქვეშევრდომობა კეთილდღეობის უმწვერვალეს გამოხატულებად უნდა მოსჩვენებოდათ. მით უმეტეს, რომ სომხებისათვის ყოველთვის ღია იყო სახელმწიფო სამსახურის კარები, ხოლო ახლად აღორძინებული რუსუ-

---

დესი მასწავლებელი ყოველი მხატვრისა.

წვრილმან ტილოებიდან საყურადღებოა „ბაზრობა" და „დაბახანა".

მაგრამ სულ სხვაა გაბაშვილი პორტრეტების შესრულებაში. აქ უფრო ძლიერი იგი, ვიდრე სხვაგან. ეს კი პატარა საქმე არ გახლავთ. პორტრეტების შესრულებაში პირველი ადგილი უჭირავს ადამიანის სახეს, თუნდა იმიტომ, რომ ემპირიულ ობიექტთა შორის იგი ყველაზე უძლიერესია, როგორც ჩვენი სულიერი ცხოვრების გამომხატველი. აი, რატომ არის, რომ თუ მხატვარსა ჰსურს მისი ნაწარმოები ხელოვნების დარგს ეკუთვნოდეს, უეჭველად უნდა ეცადოს, რომ ობიექტი თვით მეტაფიზიკურ ხარისხამდე აიყვანოს. ამ მხრით დიდი სურათი სამი გენერლისა, მართლაც, რომ ხელოვნურ კომპოზიციას ეკუთვნის. მხატვარმა ტილოზე განაგრძო სიცოცხლე. აქ ფოტოგრაფია კი არ არის, რომელიც მომენტზე აჩერებს ადამიანს და იქვე ჰკლავს, არამედ მხატვრის ძვირფასი ფერადები. დაკვირდით რომელსაც გნებავთ, თქვენ ისე ჰხედავთ, თითქოს თვითეული ჩარჩოდან ამოსვლას სცდილობს, თითქოს მოძრაობს, თვითეული მათგანი ჰსუნთქავს, ერთი სიტყვით, სამივე სცოცხლობენ, კვალად ცხოვრებას განაგრძობენ.

გენერლებს გარდა მხატვარი იძლევა მრავალ ტიპებს. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს მთიულთა ჟანრი. განზრახვა დიდია. სამწუხაროდ რავდენიმე ტილოში მხოლოდ მამაკაცები შეიძლება ხევსურულ ტიპებად ჩაითვალოს. „მუშა", „ხევსური", „ხევსური ებრაელები" და სხვა, ყველას შესაფერი კოლორიტი სძევს. ამგვარ ტიპებში აღსანიშნავია „ქართველი თამადა", რომელსაც ყანწი „ათამადებს", თორემ გაწითლებული ცხვირით იგი რეპინის „ზაპოროჟეცს" უფრო წააგავს როგორც ეს სამართლიანად შეჰნიშნა ერთხელ აწ უკვე განსვენებულმა ჩვენმა ძვირფასმა პუბლიცისტმა არჩილ ჯორჯაძემ*). ქალის ტიპები ხომ სულ ერთგვარი ჟანრით შეუსრულებია ჩვენს მხატვარს. საოცარია მათი მსგავსება. ჩემთვის სრულებით გაუგებარი რჩება, როგორ მოხდა, რომ სხვადასხვა სოფლისა, თემისა და მხრის ტიპები მარტო კოსტიუმებით განსხვავდებიან. აიღეთ მაგალითისთვის რამდენიმე ტიპი, თუნდა ვსთქვათ ა) ხევსური ქალი შატილიდან (№ 21), ბ) კუბელი ქალი (№ 12), გ) ხევსური ქალი ბარისახოდან (№ 16), დ) ხახმატელი ხევსური ქალი (№ 20) და სხვები (უმთავრესად ხევსურული ტიპები) საოცრად წააგვანან ერთმანეთს. ისე სჩანს, თითქოს მხატვარს სახელები განგებ წაუწერია, თორემ მოდელად სულ ერთი და იგივე ქალი ჰყოლიაო, ისიც რა ქალი! გიმნაზიის მოწაფე, რომელსაც სრულებით არ ეფერება ხევსურული ტანთსაცმელი. არა სჩანს ხევსურის ლაღ ბუნებაში აღზრდილი გოგონას მკვირცხლი მეტყველება, იგი უფრო დღევანდელ შემწიკვლულ კულტურის მიერ გაჩრდილებული გოგონაა, რომელსაც სიცოცხლე სიცოცხლედ ვეღარ გამოუყენებია და მიბინდული თვალებით ცხოვრების ზედმეტ დეკორატიულ არსებად გარდაქმნილა.

სხვა სურათებიდან ბევრი არაფერს გვეუბნება მხატვრის ძლიერი ფანტაზიისა და შემოქმედების ნიჭის შესახებ. რავდენიმე ესკიზია საყურადღებო, მაგრამ თავისებურობა ნაკლებ მოსჩვივის მათში, ზოგს რეპინის კალმის ელფერი აქვს, ზოგს ბრანდტისა, რუბოსი და სხვებისა, რომელთა ზედგავლენა მხატვარს დასტყობია და ჯერაც ვერ განთავისუფლებულა მათგან. თუმცა მათს მოწაფეობის დიდი ხანია გარეგნულად მაინც თავი დაანება.

არის ზოგიერთა სურათები, რომელთაც, ჩემის აზრით, გამოფენაზე ადგილი არ უნდა ჰქონოდათ, როგორც მაგალითად, „მფრინავი დემონები", ან „ცეკვის შემდგომ", რომელსაც ნიადაგი არცკი მისცა ჩვენმა მხატვარმა და ისე ჰგონია ადამიანს, თითქოს ეს მოცეკვე ქალი ჰაერში დაკიდებულაო.

საზოგადოდ, გ. გაბაშვილის მხატვრულ ნაწარმოებთა წრევანდელი გამოფენა ვერ აკმაყოფილებს ადამიანს, თუმცა რიცხვით იგი თვალსაჩინოა. როგორც გავიგე, ამ ახლო მომავალში მხატვარი აპირებს კიდევ რამდენიმე სურათის გამოფენას, რომელნიც იდეისა და ფორმის მხრით ფრიად საყურადღებო იქმნებიანო. ჯერჯერობით კი მხატვარს ვუსურვებთ მეტს ენერგიას და დაკვირვებას. რაც უნდა იყოს, ეს ის ქართველი მხატვარია, რომელმაც უკვე მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ჩვენში მხატვრობის აღორძინებას..

**დ. კახრაძე.**

*) იხ. არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მესამე წიგნი, გვ. 204.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მრეწველობა, ნაციონალურ დამოკიდებულებათა განურჩევლად, ხარბად ისვამდა ყოველივე საქმიანსა და უნარიან ელემენტს. დროთა ვითარებაში აღმოცენდა ერთი მხრით სომეხთა მიდრეკილება რუსეთისადმი, მეორე მრით კი—შული მათსა და კავკასიის დანარჩენ ერთა შორის, რომელსაც სარჩულად ედვა სომეხთა ვითომ უპირატესი მდგომარეობა და აგრეთვე პირველობის ის მისწრაფება, რომელსაც იგინი ჩემულობდნენ ადგილობრივ ცხოვრებაში. ნამდვილად კი, რასაკვირველია, საქმის ვითარება სულ სხვაგვარია და ქართველ-სომეხთა, განსაკუთრებით კი სომეხ-თათართა, გამწვავებული დამოკიდებულების დაცხრობა ადვილად შეუძლია გონივრულ შინაურ პოლიტიკას. ისეთი დარბევის პროგრამა, როგორიც იყო სომეხთათვის საეკლესიო მამულების ჩამორთმევა პლევეს დროს, ან 1905 წლ. სომეხ-თათართა ქლეტა, დღეს არც ერთ ადმინისტრატორის თავში არ დაიბადება. მაგრამ სომეხთა აგრარული საკითხის უყურადღებოდ დატოვება ამ ჟამად, მომავალში იმავე მტრობის მომასწავებელი იქნება. საქმე ისაა, რომ როდესაც დარბევას გაექცეოდნენ ხოლმე, სომხები მაღლობებს ირჩევდნენ საცხოვრებლად, რადგან ასეთ ადგილებში იგინი უფრო უზრუნველყოფილი იყვნენ. ამის გამო ნაყოფიერი ქალები მთლად ოსმალებს ჩაუვარდათ ხელში. საერთო კულტურულ მეტნაკლებობასთან ამ ერების აგრარული ურთიერთობა, მიუხედავად მთავრობის საერთო და გაურჩეველი პოლიტიკისა, კიდევ დიდხანს იქნება შულლისა და განხეთქილების მასაზრდოებელი.

მეორეს მხრით, სომეხთა ნაციონალური პრეროგატივები, როგორიცაა მაგ., საეკლესიო ქონება და საკუთარი სკოლები უეჭველად შურს იწვევს მეზობელ ერთა გულში. ჩვენ, რუსებმა, რასაკვირველია ნაკლებად ვიცით თუ რა მნიშვნელობა აქვს სომეხთა ეროვნულ ცხოვრებაში მის საეკლესიო სკოლებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მათი როლის დაკნინება ყოვლად შეუძლებელია. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ უკიდურეს მემარცხენე პარტიის წევრობა სრულიად არ უშლის ხელს რომელიმე სომეხს ამ სკოლაში სამასწავლებლოდ. ეკლესია იქ ლამპარია, არათუ მხოლოდ სარწმუნოებისა, არამედ სამოქალაქო კულტურისა და ცივილიზაციისა. მართალია, სომეხთა კათალიკოზები ხშირად აწარმოებდნენ კომპრომისულ პოლიტიკას, მაგრამ ძირითად ნაციონალურ თვისებას მუდამ შეურყევლად იცავდნენ.

საიმპერიო მთავრობა, რაკი დარწმუნდა, რომ სომხები ერთგული არიან მეტროპოლიისა, თან და თან ცდილობდა კავკასიის სხვა ერთათვის მიეპყრო თვისი დაუძინებელი თვალი, ხოლო სომხებს იმედი უძლიერდებოდათ, რომ არსებული რეჟიმით მათი ნაციონალური ინტერესები საკმაოდ უზრუნველყოფილია. ამიტომ ამ რეჟიმის წარმომადგენლებს იგინი სიმპატიით ეპყრობიან (გარდა დაშნაკცუტუნებისა, რასაკვირველია), საზოგადოდ სომხის ბურჟუაზია, თვით პროგრესიულიც კი, ჰფიქრობს, რომ თანამედროვე კეთილდღეობის მაგიერ მომავალი ცხოვრების სიკეთის ძიება, მაინცა და მაინც, დიდად არა ჰღირს, რადგან უბრალო თვით-მმართველობის ნასახის განმტკიცება სრულიად საკმაო იქნება ისეთი უტერიტორიო ერისთვის, როგორიც სომხებიაო. ამასთანავე სომეხთა შეხედულება შესახებ მათდამი ქართველთა და თათართა მომავალ დამოკიდებულებისა, დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სარწმუნოებისა ღ კულტურის მზგავსება, აგრედვე ლმობიერი ხასიათი ქართველი ერისა არავითარ ცუდს რასმე არ უქადის სომხებს საქართველოს მომავალ ავტონომიაში; თათრების იმედი კი არ აქვთ და ამ ადგილებში სომეხთა უმცირესობის მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ კანონით იქნება უზრუნველყოფილი, ძლიერ სამწუხაროდ ეჩვენება სომხის ინტელიგენციას.

თუმცა ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, შევა თუ არა სომხეთი რუსეთის ფარგალში. ახალი მხრის შექმნა, სადაც სომხის ერის ბედი ერთნაირ კალაპოტში მოექცევა, სრულიად გააქარწყლებს სომხების შიშს. ყოველნაირი დაუძლურება ოსმალეთისა ამის გამო აქ სანატრელია და ჩვენი მთავრობის ბალკანეთის პოლიტიკას აქ ნდობით ეკიდებიან, ევროპის ომის შესაძლებლობა დიდად არავის აიტერესებს, რადგან ოსმალეთის საზღვარი ახლა იმდენადვე საშიში, რამდენადაც სპასეთისა. ამიტომ სომხების ცხოვრების საერთო მიმდინარეობა მყუდრო და ოპტიმისტურია.

ვ. ოპნინსკი.

## როტმისტრ ტრეშჩენკოვის დაპატიმრება

ლენის ამბების გმირის ტრეშჩენკოვის საგმირო საქმეთ ამ ბოლო დროს მთავრობის ყურადღება მიიქცია. ტრეშჩენკოვს ამ მოკლე ხანში შეტაკება მოუხდა კაფე-შანტანში თავ. ნ—ესთან (ქართველია.) გენერალ ივანოვს მიანდეს უსასტიკესი გამოძიება მოეხდინა ამ საქმის გამო. პირველად ჩვენება ჩამოართვეს თავ. ნ—ეს, რომელმაც როტმისტრ ტრეშჩენკოვს რამდენჯერმე დაარტყა სახეში ხმალი და ხელი გაუხლიჩა. თავ. ნ ის სიტყვით, შეტაკების მიზეზი ყოფილა ის, რომ ტრეშჩენკოვი აშკარად სცდილობდა შეურაცყოფა მიეყენებინა მის ეროვნულ გრძნობისთვის, და, რაც უფრო მთავარი მიზეზია, ტრეშჩენკოვი ისე ცინიკურად მოუთხრობდა ბოდაიბოში მომხდარ ამბებს, ისე საზიზღრად ასწერა საშინელი დრამა, რომ შეუძლებელი იყო ამის ისე ჩატარება.

თავ. ნ—ის შემდეგ გენერალმა ივანოვმა ჩვენება ჩამოართვა მოწმეებს; ტრეშჩენკოვის მეგობრების გარდა ჩვენება ჩამოართვეს კაფე-შანტანის ოთხ მომღერალ ქალს. როდესაც გენერალმა ივანოვმა ჩვენება ჩამოართვა ყველა მოწმეებს, მოითხოვა რესტორანიდან ანგარიში, რათა გამოერკვია ფხიზლად იმყოფებოდნენ ტრეშჩენკოვი და ნ—ე, თუ არა. ყველა მოწმემ დაადასტურა, რომ თავ. ნ—ე ცოტასა ჰსვამდა და საზოგადოდ თავი ფრიად კარგად და თავაზიანად ეჭირა. უთახხმოების ბრალი სავსებით როტმ. ტრეშჩენკოვს აწვება. დაწვრილებითი ჩვენება მისცეს მომღერალმა ქალებმა: ტრეშჩენკოვი თურმე კვეხულობდა თავის „გმირობას და სიმამაცეს“ ბიდაიბოში მუშების დახოცვის დროს, აგრედვე იმას, რომ იგი სამართალში არ არის მიცემული და ამ მოკლე ხანში მთავრობა ჰნიშნავს მას პასუხსაგებ თანამდებობაზე. ტრეშჩენკოვის სიტყვით, ეს დანიშვნა ჯილდოა იმ მღელვარებისათვის, რაც მან განიცადა სათათბიროში შეტანილ შეკითხვის გამო.

გულახდილმა მომღერლებმა გამოაქვეყნეს ტრეშჩენკოვის პეტერბურგში ყოფნის დროის ამბები, ლენის ამბების შემდეგ.

ყველა ამის თაობაზე ჟანდარმთა შეფს მოხსენება წარუდგინეს

24 მარტს როტმისტრი ტრეშჩენკოვი დაატუსაღეს; მას გადაწყვეტილი აქვს 30 დღით დაპატიმრება სამხედრო ჰაუპტვახტში.

## ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

28 მარტი.

**სოფია.** სახელმწიფო ვალების სამმართველოს უფროსი სტოიანოვი პარიზს წავიდა, იმ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელმაც ომის მიერ გამოწვეული ფინანსიური საკითხები უნდა განიხილოს.

**სუეცი.** მეწამულ ზღვაში გავიდა გერმანიის გემი, რომელმაც ოსმალეთის კრეისერ „ამიდიე“-სათვის სურსათი წაიღო.

**ლონდონი.** უკანასკნელ დღეებში მიღებულ იქმნა არა ოფიციალური ღონისძიებანი, რომელთაც ნიადაგი უნდა შეუმზადონ ოფიციალურ მოლაპარაკებას, რათა სახელმწიფოებმა შესძლონ ჩერნოგორიასთან შეთანხმება სკუტარის საკითხის დამოუკიდებლად. დიდ სახელმწიფოთა დადგენილებამ შესახებ ალბანეთის ახალი საზღვრებისა, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ცეტინიეში. გამწვავებულ მდგომარეობის ტერიტორიალური საზღაურით დაშოშმინება ვერ არის მოსალოდნელი.

**ბერლინი.** პეტერბურგის საავენტო სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება, რომ სახელმწიფოების საპასუხო ნოტა აგრძნობინებს მოკავშირეებს, რომ მათი მოთხოვნილება შეხრულებული იქნება ევროპისაგან. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოები მოითხოვენ ომის შეწყვეტას, რადგან ინააღმდეგ შემთხვევაში იგანი იფიქრებენ, რომ მოკავშირეთაგან პასუხის გაჭიანურება მომასწავებელია ბრძოლის განახლების სამზადისისა.

**პარიზი.** „ჟურნალ-დე დება“ ამბობს: საზონოვის განცხადება მომასწავებელია იმისა, რომ რუსეთს მართებულად ესმის საზღვაო დემონსტრაციის მნიშვნელობა.

## პერძო ვექილს იოსელ ნატროშვილს

(წერილი რედაქციის მიმართ)

„სახალხო გაზეთი“-ს № 857 და 858-ში მოთავსებულია თქვენი პასუხი ჩემს ღია წერილზე. მე ამაზე პასუხს არ გაგცემთ. თანახმა ვარ იმ წესით შესდგეს სამედიატორო სამართალი, როგორც ამას თქვენ თხოულობთ. ამასთანავე გთხოვთ არ დაივიწყოთ ის პირობები, რა პირობებითაც გამოგიწვიეთ სამართალში: თუ რომ თქვენ იქნებით გამტყუნებული, უნდა გადიხადოთ ის ათას ასი მანეთი, რომელსაც ამილახვრიანი აღმასრულებელი ფურცლის ძალით იაკობიძეებისაგან ითხოვენ, დაუბრუნოთ იაკობიძეებს გიორგი ამილახვრისაგან ძალდატანებით გამორთმეული ჩვიდმეტი თუმანი და ამას გარდა დაზარალებულ გლეხების სასარგებლოდ გადიხადოთ ხუთასი მანეთი, ხოლო, თუ მე ვიქნები გამტყუნებული,—ეს ფული მე გადვიხადო.

ამ პირობას მე დღეს ერთსაც ვუმატებ: სამედიატორო სასამართლომ გაარჩიოს აგრედვე „სახალხო გაზეთის“ №№ 831, 857 და 858 მოთავსებული ჩემი და თქვენი წერილები და მათ შესახებ დაადგინოს: ჩვენთაგანი რომელი სწერს ჭეშმარიტებას და რომელი მალავს სიმართლეს და შეჰყავს საზოგადოება შეცდომაში. სამედიატორო სასამართლოს განაჩენი გაზეთებში უნდა იყოს გამოცხადებული.

რასაკვირველია, ამ ჩემს პირობებს თქვენ სიამოვნებით მიიღებთ, ვიხაიდან თქვენს თავს, ამ საქმეში, როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, სრულიად უდანაშაულოდ სცნობთ და მე კი დამნაშავედ. ველი თქვენგან მედიატორების დასახელებას.

გრ. ცერცვაძე.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას, 31 მარტს, ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ განმეორებით წარმოდგენილი იქნება სოფოკლეს ცნობილი ტრაგედია **„ედიპე მეფე“**, ედიპეს როლს შეასრულებს ვ. გუნია რეჟისორობს კონს. ანდრონიკაშვილი. ფასები დაკლებულია.

**სახალხო სახლი.** პირველ აპრილს სახალხო სახლში ოსების დრამატიული წრე წარმოადგენს ახალ ორიგინალურ პიესას „ნალკუტა“-ს.

**სიკორას კონცერტი.** მუსიკალური სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში 4 აპრილს გაიმართება მეორე კონცერტი ვიოლონჩელისტის სიკორასი. პირველ კონცერტს, რომელმაც ძალიან კარგად ჩაიარა, ცოტა ხალხი დაესწრო, რადგანაც იმავე დღეს კვარტეტიული საღამო იყო გამართული არტისტიულ საზოგადოების დარბაზში. სიკორა კარგი ვიოლონჩელისტია და ძალიანაც მოეწონა დამსწრე საზოგადოებას.

## წერილ. რედ. მიმართ

1. ჟურნალ „განათლების“ რედაქცია აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ იანვრის ნომერი „განათლებისა“ ცენზურამ აკრძალა, ნომრები წაიღო და საქმე სასამართლოს გადაეცა; ამის გამო მკითხველთა მოთხოვნილებას № 1-ის გაგზავნის შესახებ, სამწუხაროდ, რედაქცია ვერ აკმაყოფილებს.

2. „განათლების“ რედაქცია აცხადებს, რომ მას დაეკარგა ხელთნაწერი დიდი რვეული ს. დადიანისა „საზოგადოებრივი აზრები მე-19 საუკუნის ქართ. მწერლობაში“ და სთხოვს მპოვნელს, დაუბრუნოს რედაქციას.

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


## განცხადებანი

**საჭიროა მუშები,**

ფხიზლები და ღვინის საქმის მცოდნენი. პირობების გაგება შეიძლება დაღესტნის ოლქის კავკავის რკინის გზის სადგურ მამედ-კალასთან მდებარე მამულ „გეჯუხის“ კანტორაში. 185

უვანა-ხველებიანებს გავშვებს ასთმით სიროლინ „როშ“-ი, იგი სულ მოკლე ხანში დაუყენებს მტანჯველ ყივილსა და ხველას.



იშოვება ყველა აფთიაქსა და საათიაქო მაღაზიაში.

უსათუოდ მოითხოვეთ სიროლინ „როშ“-ი ქარხნის თავისებურ გასახვევით.

მეტცლ. 66871. 1638

**კბილის ექიმი ა. გ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი შ. ა. მიქელაძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე [illegible] № 6.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. [illegible] ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა

**ჩემთვის საჭიროა გამოვაწერო კანაფი** ყანის მომკალ შემკრავ მანქანისათვის, რაც ჯდება ტფილისში ნავთლუღის სადგურამდე 8 მან. ფუთი და კერძო მყიდავნი კი თუმნად და მეტადაც ჰყიდიან, ამიტომ წინადადებას ვაძლევ, **ვისაც კანაფი სჭირდება სამკალში**, შემიკვეთოს და ფუთზე ნახევ რი ბედ წარმომიდგინოს ახლავე, გამოწ რის წინ. **მისამართი:** ორბელიანთ ქ. 20, ტფილისში, მთ ნ. ოქრომჭედლიშვილი. 150

**ვაგზლის სამშობიარო თავშესაფარი**
**ე. ლ. არშანინისა დ ს. ს. ხატიევისა**
**ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება** სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრედვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე.
თავშესაფ. გამგე **ექიმი ა. გ. ავეტისოვი.**
**ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3** 1018

**ფეხსაცმელები თომა დ. ჯანყარაშვილის მაღაზია-სახელოსნოში.**
მუხრანის ქ. № 2.
ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ.



მექანიკური ნაწარმოები. 170

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**
დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**
**დილით:**
**„606“ და „914“**
**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**
ი. ა. **ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. **ბეგბუდოვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავად.
ქ. მ. **ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალი ა. შინაგანი და ნერვებისა.
[illegible] ა. **ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ა. ლ. **მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. **ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ძ. **კარაპეტიანცი:** 12—1 ს. მის. ან საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
**საღამოთი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
**ექიმი ქალი ო. ვ. გეევსკაია-ენგელისა** 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ბ. ა. ნ გახარდიანი.**

გონორრეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:
**„SALO—პირილინ“.**
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში მევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.**
**აგრედვე კარგად მოქმედებს მეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.**
დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება სააფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების საწყობში.
Метцль 2238. 1038

→ გამოსულია და იყიდება ←
**ნ. შიუკაშვილის**
პიესა **„მემამულეობა“.** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ხელის მოწერით გამოიცემა **ქ. ზოლას „ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“**
**ი. გ. ავალიშვილის** ნათარგმნი.
**დაკვეთა შეიძლება: ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ჩახუკრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში [illegible] ნაცვალიძესთან, **გორში**—[illegible] ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კავკავში** მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტრო თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.
**„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“** „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარ ს დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი ქნება 1 მან. 1107

**თევზეულობის მაღაზია ს. ლ. ხუროშვილისა**
პუშკინის ქუჩა ტელეფონი № 496.
**ვყიდით:**
საუკეთესო მარცვლიან **ხიზილალას, ცოცხალ თევზს** „ქეტკა“-ს ორაგულს, თართს, ტარაღანას, სელიოტკებს, ლოქოს, მოხარშულ დოშს, ზურგიელს და სხვა ყოველგვარ თევზებს და კონსერვებს.
**ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.** 1127.

**ცინკოგრაფია**
**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ**
**კლიშეების დამზადებას.**
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1090

გამომცემლობა და ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„იმერეთი“**
**ქუთაისში**
ამით აცხადებს, რომ იგი შეუდგა **„გიორგი ქალადიდელის (ქოჩაქიძის)** ნაწერების გამოცემას. წიგნს წამძღვარებული ექნება ბიოგრაფია **იონა მეუნარგიასი, კრიტიკული განხილვა—ივანე ზომართლისა,** სურათი და ფაქსიმილე. წიგნი იქნება 200—250 გვ და ეღირება ხელის მოწერით 10 შაური, ხოლო გამოცემის შემდეგ 15 შაური. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კანტორა **„იმერეთში“, ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში და გამომცემლობა „იმერეთის“ ყველა იმ აგენტებთან, რომლებიც გამოცხადებულია „თემში“, „კოლხიდა“-სა და „დილა“-ში. **ისიდორე კვიცარიძე.** 1113

**✦ შემთხვევით იყიდება ✦**
**ა. ბოგდანოვის**
**მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა**
**ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით 1 მანეთად.**
ტფილისს გარედ მცხოვრებთ გაეგზავნებათ 1 მან. 10 კ. წიგნი მოიკითხეთ: სადაც იყიდება ყველანაირი ქაღალდი საფაბრიკო ფასებში.
Тифлисъ, складъ бумагъ Т-во Сергѣева, Дворцовая ул., д. Сараджева, во дворѣ. 1098



1078

მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) **ხიზილალა**
თევზის მრეწველნი **ძმ. ქევხელოვები.**
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
**ტელეფონი № 712.**
1131

გამოსული ქერჩის **სელიოტკები,** და ყოველგვარი **კონსერვები.**
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სარეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქეტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი